სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სანდრო გიორგაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	14	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	14	20
წერის უნარი	15	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	10	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	11	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	72	100

თარიღი: 17.09.2024

ვასილ მშვენიერაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 17 სექტემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **სანდრო გიორგაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (17 ვაკანსიაზე).

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა **სანდრო გიორგაშვილი** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„დ“ წერის უნარი;

„ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

„ზ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 20 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 20 ქულა;

„გ“ წერის უნარი – 20 ქულა;

„დ“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა;

„ე“ პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში) – 15 ქულა;

„ვ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა;

„ზ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. „კანდიდატი“ 61 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მაგისტრი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1986წ.). სპეციალობით მუშაობს 31 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 11 წელი. კერძოდ:

- 1993 - 1999 წლებში იყო ყვარლის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;
- 1999 - 2004 წლებში იყო გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

2.1.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას, კომუნიკაბელურობას, შრომისმოყვარეობას, კოლეგიალურობას, გულისხმიერებას, საქმისადმი ერთგულებას, პრინციპულობას, ანალიტიკურ აზროვნებას და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდატორი სისუსტესა და ნაკლოვანებში უთითებს ზოგიერთ შემთხვევაში კანდიდატის გადაჭარბებულ ლმობიერებას. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, „კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატთან" დაკავშირებით ინტერნეტში იძებნება ინფორმაცია მისი მოსამართლეობის კანდიდატობის, საპროკურორო საქმიანობის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატობის შესახებ. იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე „კანდიდატი" ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად იქნა წარდგენილი ცხრა ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი ბლოკის ძიერ.

2.1.4. „კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. „კანდიდატის" სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 2522 კვ,მ. 30000 კვ.მ. 12572კვ.მ. 9897 კვ.მ 689 კვ.მ; ყვარელში სოფელი გავაზი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. 2021-2024 წლებში, „კანდიდატს" საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 8 ფაქტი უფიქსირდება, დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის" მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. „კანდიდატის" მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და არ მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2.1.7. ვინაიდან „კანდიდატი“ თანამდებობიდან 2004 წელს გათავისუფლდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს და დაამუშაოს აღნიშნული ინფორმაცია.

2.1.8. შეფასების პროცესში შესწავლილი იქნა „კანდიდატის“ მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმე.

2.1.9. ,,კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: სემინარი სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის თემაზე - საქართველოს გენერალური პროკურატურა, სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) - საქართველოს გენერალური პროკურატურა 2018 წელი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - საქართველოს გენერალური პროკურატურა და ა.შ.).

2.1.10. „კანდიდატს“ 2014 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.11. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.13. „კანდიდატი“ ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები ძირითადად არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. რიგ სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს პასუხი ვერ გასცა, მათ შორის: ვერ განმარტა სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი, არასრულად ჩამოთვალა უშუალო დემოკრატიის ფორმები, მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, ვერ დაასახელა შესაბამისი მაგალითები. კანდიდატმა ვერ განმარტა უკიდურესი აუცილებლობის სახეები, ტრაგიკული კოლიზიის არსი, ვერ გამიჯნა არაადამიანური მოპყრობის და ღირსების შემლახავი მოპყრობის დამახასიათებელი ნიშნები. კანდიდატმა ვერ გასცა პასუხი სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცესის პრინციპებზე დასმულ შეკითხვებს. კანდიდატმა არასრულად ისაუბრა საკონსტიტუციო დონეზე სასამართლო ხელისუფლებაში განხორციელებულ ცვლილებებზე, კანდიდატმა ვერ განმარტა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსი.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის

(სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი";

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა";

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა";

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია";

ე) „ფინანსური ვალდებულება".

3.2. „კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი" კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, შესაბამისად მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის" შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. „კანდიდატს" გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების ცოდნა, თუმცა იყო ხარვეზები. „კანდიდატი" ფლობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. თუმცა, საჯარო მოსმენისას მთელ რიგ სამართლებრივ საკითხებზე „კანდიდატის" მსჯელობა ნაკლებად მოცულობითი, არაზუსტი და არგუმენტაციას მოკლებული იყო.

4.1.2. „კანდიდატს" გააჩნია მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილება. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია.

4.1.3. „კანდიდატის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი" წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, მისი მსჯელობა ლოგიკური და თანმიმდევრულია.

4.1.4. „კანდიდატი" გამართულად მეტყველებს, საუბრისას მშვიდი და გაწონასწორებულია, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ღიაა და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი. ზოგადად, „კანდიდატმა" დატოვა კომუნიკაბელური და კორექტული ადამიანის შთაბეჭდილება.

4.1.5. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. მის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია. ვინაიდან „კანდიდატი“ თანამდებობიდან გათავისუფლდა 2004 წელს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს და დაამუშაოს სტატისტიკური ინფორმაცია მისი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში საქმიანობის შესახებ.

4.1.6. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე.

4.1.7. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატი - სანდრო გიორგაშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 72 ქულით.

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა - 14

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 14

„გ“ წერის უნარი - 15

„დ“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 10

„ე“ პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში) - 11

„ვ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4

„ზ“ პროფესიული აქტივობა - 4

ვასილ მშვენიერაძე